



სექტემბერი, 2017 წელი  
წინამდებარე საინფორმაციო ბროშურა არ წარმოადგენს სასამართლოსთვის სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს და არ არის ამომწურავი

## ქალთა მიმართ ძალადობა

### ოჯახში ძალადობა

იხილეთ საინფორმაციო ბროშურა თემაზე [„ოჯახში ძალადობა“](#).

### არასათანადო მოპყრობა დაკავების ადგილას

#### საქმე *Juhnke v. Turkey*

22 ივლისი, 2003 წელი

განმცხადებელი უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის „PKK“ (ქურთისტანის მუშათა პარტია) წევრობაში ეჭვის საფუძველზე დააკავეს, ის მოგვიანებით გაასამართლეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განმცხადებელი უშუალოდ დაკავების დროს მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე და მისი ნების საწინააღმდეგოდ გინეკოლოგიური გამოკვლევის თაობაზე ჩიოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რაც არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის ბრალდებებს დაადასტურებდა და მისი საჩივრის ნაწილი **დაუშვებლად** ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია განმცხადებლის ბრალდება, რომ მას გინეკოლოგიური გამოკვლევა იძულებით ჩაუტარდა და დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) არ დარღვეულა. მართალია სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ განმცხადებელი გინეკოლოგიური გამოკვლევის წინააღმდეგი იყო, ვიდრე მას ამაზე დაითანხმებდნენ, ასეთ დროს დაკავებული პირის დაუცველ მდგომარეობაში, განცხადებელი გამოკვლევაზე მუდმივ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. სასამართლომ საკითხის განხილვა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) თვალსაზრისით გადაწყვიტა. ვინაიდან გინეკოლოგიური გამოკვლევა, რომელიც განმცხადებელს თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე მოახვიეს თავს, „კანონის შესაბამისად“ ან „დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებიდან“ გამომდინარე არ ჩატარებულა, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის **მე-8 მუხლის დარღვევას** ჰქონდა ადგილი. ამგვარად, სამედიცინო გამოკვლევა სასამართლო ხელისუფლების მიერ უსაფრთხოების სამსახურის წევრთა სექსუალური ძალადობის ცრუ ბრალდებისგან დასაცავად გატარებული დისკრეციული ღონისძიება აღმოჩნდა, რომლებმაც განმცხადებელი დააკავეს და დააპატიმრეს. თუმცა, დაცვის ეს ღონისძიება არ ამართლებს იმის მცდელობას, რომ დაკავებული მსგავს ინვაზიურ და სერიოზულ ჩარევაზე დაეყოლიებინათ, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის სექსუალური ძალადობის შესახებ არ ჩიოდა.

### პოლიციის მხრიდან ძალადობა

#### საქმე *Aydın v. Turkey*

25 სექტემბერი, 1997 წელი

იხილეთ, ქვემოთ, „გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა“.

საქმე *Y.F. v. Turkey* (განაცხადი no. 24209/94)

22 ივლისი, 2003 წელი

1993 წლის ოქტომბერში განმცხადებელი და მისი მეუღლე პოლიციამ უკანონო ორგანიზაციის „PKK“ (ქურთისტანის მუშათა პარტია) დახმარებასა და დანაშაულის წაქეზებაში ეჭვის საფუძველზე დააკავა. განმცხადებლის მეუღლე საპოლიციო პატიმრობაში ოთხი დღის განმავლობაში იმყოფებოდა. მისი მტკიცებით, ის თვალეზავიანი ჰყავდათ და პოლიციელებმა მას ხელკეტები ჩაართეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და გაუპატიურებით დაემუქრნენ. განმცხადებელი ექიმმა გასინჯა და შემდგომ, გინეკოლოგთან შესამოწმებლად წაიყვანეს. პოლიციის თანამშრომლები ადგილზე დარჩნენ, ვიდრე მას ფარდის უკან გამოკვლევა უტარდებოდა. 1994 წლის მარტში განმცხადებელი და მისი მეუღლე გაამართლეს. 1995 წლის 19 დეკემბერს სამ პოლიციელს ბრალი წაუყენეს განმცხადებლის მეუღლის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფისთვის, იძულებით გინეკოლოგიური გამოკვლევის ჩატარების გამო. პოლიციელები 1996 წლის მარტში გაამართლეს. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლის იძულებითი გინეკოლოგიური შემოწმებით კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაირღვა.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაირღვა. მან ჩათვალა, რომ დაკავებულის დაუცველი მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც დაკავების დროს ხელისუფლების მხრიდან მასზე სრული კონტროლი ხორციელდებოდა, განმცხადებლის მეუღლე გინეკოლოგიურ შემოწმებაზე წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. შესაბამისად, მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებაში ჩარევას ჰქონდა ადგილი. თურქეთის მთავრობამ სამედიცინო აუცილებლობის ან კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებების არსებობა ვერ დაადასტურა. თუმცა სასამართლომ მთავრობის არგუმენტი გაითვალისწინა, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ დაკავებულების სამედიცინო შემოწმება სექსუალური ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის ცრუ ბრალდებებისგან დაცვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა, მიიჩნია, რომ ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ჩარევა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და საჭიროა პირის თანხმობა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მსგავსი გარემოებები არ ყოფილა, ჩარევა არ იყო კანონის შესაბამისი.

საქმე *Maslova and Nalbandov v. Russia*

24 იანვარი, 2008 წელი

იხილეთ ქვემოთ, “გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა”.

საქმე *Yazgül Yılmaz v. Turkey*

1 თებერვალი, 2011 წელი

მოცემულ საქმეზე, განმცხადებელი ჩიოდა, რომ 16 წლის ასაკში, საპოლიციო პატიმრობის დროს, მის მიმართ სექსუალურ შევიწროებას ჰქონდა ადგილი. გინეკოლოგიური გამოკვლევა, საქალწულე აპკის მთლიანობის შემოწმების მიზნით, მისი და მისი მეურვის თანხმობის გარეშე ჩატარდა. გამართლების და გათავისუფლების შემდეგ ის პოსტტრავმული სტრესით და დეპრესიით იტანჯებოდა. განმცხადებლის ბრალდებები დაკავების დროს მასზე ფიზიკური ძალადობის შესახებ უმთავრესად შემდგომი სამედიცინო შემოწმებებით დადასტურდა. ციხის ექიმების მიმართ დისციპლინური წარმოება არ განხორციელებულა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს კანონი დაკავებული ქალების სამედიცინო გამოკვლევისთვის საჭირო გარანტიებს არ ითვალისწინებდა და დამატებითი დაცვის ღონისძიებები იყო აუცილებელი, განსაკუთრებით, არასრულწლოვნების გინეკოლოგიური შემოწმებისთვის. პატიმრობაში მყოფი ქალების სავალდებულო გინეკოლოგიური გამოკვლევის ზოგადი პრაქტიკა, რომელიც პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის ცრუ ბრალდებების პრევენციის მიზნით ტარდება, დაკავებული ქალების ინტერესებში არ შედიოდა და სამედიცინო დასაბუთება არ გააჩნდა. განმცხადებელი ჩიოდა სექსუალური შევიწროების და არა გაუპატიურების შესახებ, რაც მისი საქალწულე აპკის შემოწმების შედეგად დადასტურდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გინეკოლოგიური შემოწმების წესს არეგულირებს, მაგრამ არასრულწლოვნებისთვის კონკრეტულ დებულებებს არ შეიცავს.

სასამართლომ დაადგინა, რომ **კონვენციის მე-3 მუხლი** (არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) **დაირღვა**, როგორც საპოლიციო პატიმრობისას განმცხადებლის გინეკოლოგიური შემოწმების ნაწილში, ასევე პასუხისმგებელი პირების მიმართ არასათანადო გამოძიებასთან დაკავშირებით.

### საქმე *B.S. v. Spain* (no. 47159/08)

24 ივლისი, 2012 წელი

ეს საქმე ნიგერიის მოქალაქე ქალს ეხება, რომელიც პოლიციამ პალმა დე მალიორკას გარეუბანში მემავად მუშაობის დროს დააკავა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ეროვნულმა პოლიციამ მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც ის დაკითხვისთვის გააჩერეს. მან ასევე განაცხადა, რომ მისი დისკრიმინაცია მემავის პროფესიის, კანის ფერის და სქესის გამო მოხდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთის მთავრობამ სათანადოდ და ეფექტურად არ გამოიძია განმცხადებლის ბრალდებები არასათანადო მოპყრობის ორ შემთხვევაზე, როდესაც ის გააჩერეს და ქუჩაში დაკითხეს, რაც კონვენციის **მე-3 მუხლით** (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა) **გათვალისწინებული პროცედურების დარღვევას** წარმოადგენს. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მოცემულ ვითარებაში არ გაითვალისწინეს განმცხადებლის, აფრიკელი ქალბატონის დაუცველი მდგომარეობა, რომელიც მემავად მუშაობდა და ამგვარად, ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, ყველა შესაძლო ზომა მიეღოთ იმის დასადგენად, ამ მოვლენებზე დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ რამდენად იქონია გავლენა, რაც **კონვენციის მე-14 მუხლის** (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას წარმოადგენს **მე-3 მუხლთან ერთად**. სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის ბრალდებებთან დაკავშირებით კონვენციის **მე-3 მუხლი არ დარღვეულა**.

### საქმე *İzci v. Turkey*

23 ივლისი, 2013 წელი

მოცემული საქმე თურქი ეროვნების ქალს ეხება, რომელიც პოლიციის მხრიდან თავდასხმის შესახებ ჩიოდა, როდესაც მან სტამბოლში გამართულ ქალთა დღისადმი მიძღვნილ მშვიდობიან დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, ასევე თურქეთში პოლიციის მსგავსი სისასტიკის შემწყნარებლობის შესახებ, რომელიც ხშირად დაუსჯელი რჩება.

სასამართლომ დაადგინა, რომ **დაირღვა** კონვენციის **მე-3 მუხლი** (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით და **მე-11 მუხლი** (შეკრების თავისუფლება). კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთის წინააღმდეგ აღძრული არაერთი საქმის მსგავსად, პოლიციელებმა არ გამოიჩინეს ტოლერანტობა და თავშეკავება, ვიდრე ხალხის მასების დაშლის გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, რომლებიც არც ძალადობით გამოირჩეოდნენ და არც საზოგადოებრივი წესრიგისთვის წარმოადგენდნენ რაიმე საფრთხეს, ასევე, დემონსტრანტების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენებით განმცხადებელს ზიანი მიაღდა. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლების მიერ პოლიციის თანამშრომლების დაუსჯელობამ სახელმწიფოს მიერ კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით სერიოზული ეჭვები გააჩინა, რაც არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებების ეფექტურად გამოძიებას ეხება. საბოლოოდ, პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალადობის გამოყენებამ ხალხის შეკრების სურვილზე გადამწყვეტი გავლენა იქონია.

მოცემულ საქმეზე, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ თურქეთის წინააღმდეგ საჩივრების უმეტესობა შეკრების თავისუფლების შეზღუდვას და/ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ დემონსტრაციების დროს გადაჭარბებული ძალის გამოყენებას ეხება. პრობლემის სისტემური ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლომ თურქეთის ხელისუფლებას **ზოგადი ხასიათის ღონისძიებების მიღება** მოსთხოვა, მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, კონვენციის **46-ე მუხლით** (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) **გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად**.

განმცხადებელი, რომელიც 1999 წლის ივნისში უკანონო პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობის ეჭვის საფუძველზე დააკავეს, ამტკიცებდა, რომ პატიმრობაში ყოფნის დროს ის არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა, რაც წამების ტოლფასი იყო. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებებზე ეფექტური გამოძიება არ ჩაატარა.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას ჰქონდა ადგილი როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით. არასათანადო მოპყრობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, ასევე მტკიცე ვარაუდის საფუძველზე, რომ განმცხადებელს უკანონო პოლიტიკურ ორგანიზაციასთან სავარაუდო კავშირის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას ტანჯვა მიადგა, სასამართლომ დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობამ ძალიან სერიოზული და სასტიკი ტანჯვა გამოიწვია, რაც მხოლოდ წამებად შეიძლება დაკვალიფიცირდეს. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ გამოძიება და შემდგომი სისხლის სამართალწარმოება არასაკმარისი იყო და, შესაბამისად, მე-3 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პროცესუალური ვალდებულებები დაირღვა.

### საქმე *Dilek Aslan v. Turkey*

20 ოქტომბერი, 2015 წელი

განმცხადებელი, რომელიც 2006 წლის ოქტომბერში დააკავეს თავისუფლებადკვეთილ პირთა ოჯახების მხარდაჭერი ბროშურების გავრცელების დროს, ამტკიცებდა, რომ იგი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა და განაცხადა, რომ ხელისუფლებამ აღნიშნულ ბრალდებებზე ეფექტური გამოძიების ჩატარება ვერ შეძლო. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მას ძალის გამოყენებით ხელი შეუშალეს საინფორმაციო ბროშურების გავრცელებაში, რომლებიც მის შეხედულებებს ასახავდა.

სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულება გონივრულ ეჭვს მიღმა ვარაუდის საფუძველს არ იძლევა, რომ განმცხადებელი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მატერიალური თვალსაზრისით, კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) არ დარღვეულა. მეორე მხრივ, სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელისუფლებამ განმცხადებლის ბრალდებებზე არასათანადო მოპყრობის შესახებ სათანადო და ეფექტური გამოძიება ვერ ჩაატარა და შესაბამისად, პროცედურულ ნაწილში, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი. სასამართლომ, ასევე მიიჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ დარღვეულა.

### **მიმდინარე საქმის განხილვები**

#### საქმე *Lopez Martinez v. Spain (no. 32897/16)*

საჩივრის შესახებ ინფორმაცია ესპანეთის მთავრობას 2017 წლის 3 მაისს გაეგზავნა

აღნიშნული საქმე ეხება ესპანეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ გამოძიებას, პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის ბრალდებებზე.

სასამართლომ ესპანეთის მთავრობას საჩივრის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა და მხარეებს კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) შესაბამისად კითხვებით მიმართა.

## **გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა**

### საქმე *X and Y v. the Netherlands (no. 8978/80)*

26 მარტი, 1985 წელი

გონებრივად ჩამორჩენილი გოგონა (მეორე განმცხადებელი), მისი მეთექვსმეტე დაბადების დღის მომდევნო დღეს, მის მეურვეობაზე პასუხისმგებელი პირის ნათესავმა გააუპატიურა ფსიქიკური დაავადებების მქონე ბავშვთა სახლში, სადაც ის ცხოვრობდა. ამ შემთხვევამ მისი ტრავმირება გამოიწვია, მაგრამ ოფიციალურ საჩივარზე ხელის მოწერა არ შეეძლო მისი

მცირე გონებრივი განვითარების ასაკის გამო. განმცხადებლის მამამ (პირველი განმცხადებელი) მის მაგივრად მოაწერა ხელი, მაგრამ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ დევნა არ დაწყებულა, რადგან გოგონას საჩივარი თვითონ უნდა წარედგინა. ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ კანონმდებლობაში ხარვეზი იყო.

სასამართლო შეახსენებს, რომ მართალია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიზანს არსებითად პირის საჯარო ხელისუფლების თვითნებური ჩარევისგან დაცვა წარმოადგენს, იგი მხოლოდ სახელმწიფოს არ ავალდებულებს

ასეთი ჩარევისგან თავის შეკავებას: გარდა ნეგატიური ვალდებულებისა, პირად ან ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით შესაძლოა პოზიტიური ვალდებულებებიც იყოს გათვალისწინებული. წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მეორე განმცხადებლის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ფუნდამენტური ღირებულებები და პირადი ცხოვრების ძირითადი ასპექტები რისკის წინაშე დადგა. ამ სფეროში აუცილებელია ქმედების ჩადენისგან შეკავების ეფექტური საშუალების უზრუნველყოფა, და ამის მიღწევა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმებით არის შესაძლებელი. ვინაიდან ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსმა ვერ უზრუნველყო მისი ფაქტობრივი და ეფექტური დაცვა, სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, მეორე განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დაირღვა.

### საქმე *Aydın v. Turkey*

25 სექტემბერი, 1997 წელი

განმცხადებელი, ქურთული წარმოშობის ახალგაზრდა (იმ დროისათვის, 17 წლის) თურქი ქალი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს და მისი ოჯახის ორ სხვა წევრთან ერთად დააპატიმრეს. მას თვალები აუხვიეს, სცემეს, გააშიშვლეს, სალტეები დაადეს და წყლის ჭავლი მიუშვეს, ამის შემდეგ უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლებმა გააუპატიურეს და, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, რამდენიმე ადამიანი სცემდა. სამედიცინო შემოწმება ექიმმა ჩაუტარა, რომელსაც მანამდე გაუპატიურების საქმეზე არასდროს უმუშავია, და დაადგინა, რომ საქალწულე აპკი დარღვეული იყო და ბარძაყებზე სისხლნაქვლები მრავლად ჰქონდა. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მისი ოჯახი ხელისუფლების ორგანოებმა დააშინეს და აიძულებდნენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილ საჩივარზე უარი ეთქვათ.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაკავებული პირის გაუპატიურება სახელმწიფო მოხელის მიერ არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და შეუთავსებად ფორმად უნდა მიიჩნეოდეს, თუ გათვალისწინებით, რამდენად უმარტივდება სამართალდამრღვევს დანაშაულის ჩადენა მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობის და სუსტად შეწინააღმდეგების უნარის გამოყენებით. გარდა ამისა, გაუპატიურება მსხვერპლზე ღრმა ფსიქოლოგიურ დაღს ტოვებს, რომელიც დროთა განმავლობაში, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის სხვა ფორმების მსგავსად, სწრაფად არ იკურნება. ეს შემთხვევა განმცხადებელს დამცირებულად აგრძნობინებდა თავს და ფიზიკურად და ემოციურად გაანადგურებდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის აქტების ერთობლიობა, რაც განმცხადებელს პატიმრობაში ყოფნის დროს მიადგა, განსაკუთრებით, მის მიმართ განხორციელებული სასტიკი ქმედება - გაუპატიურება, რაც წამების ტოლფასი იყო, კონვენციის მე-3 მუხლის (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას წარმოადგენს. ასევე, თანამდებობის პირის მიერ დაკავებული გაუპატიურების შესახებ ბრალდება მოითხოვს, რომ შესაბამისი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელმა ექიმებმა მსხვერპლი სათანადო გულისხმიერებით შეამოწმონ. აღნიშნული არ ჩატარებულა, რის გამოც გამოძიება არასრულყოფილად ჩაითვა და განმცხადებელს კომპენსაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება წაერთვა, რამაც კონვენციის მე-13 მუხლის (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებაზე) დარღვევა გამოიწვია.

### საქმე *M.C. v. Bulgaria (no. 39272/98)*

4 დეკემბერი, 2003 წელი

განმცხადებელი 14 წლის ასაკში (რაც ბულგარეთში სექსუალურ კავშირზე თანხმობისთვის საჭირო ასაკად ითვლება) ორმა მამაკაცმა გააუპატიურა. ის ტიროდა გაუპატიურების მომენტში და მის შემდეგ; მოგვიანებით ის დედამისმა საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც დადასტურდა, რომ მისი საქალწულე აპკი დარღვეული იყო. ვინაიდან ვერ მოხერხდა იმის დადგენა, რომ ის წინააღმდეგობას უწევდა და დახმარებას ითხოვდა, დანაშაულის ჩადენი პირების მიმართ დევნა არ განხორციელებულა.

სასამართლომ კონვენციის მე-3 (დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლების (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა დაადგინა, კერძოდ, აღნიშნა საერთო ტენდენციის თაობაზე, რომელიც გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის საჭირო ელემენტად თანხმობის არარსებობას ადგენს. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, განსაკუთრებით, ახალგაზრდა გოგონები, წინააღმდეგობის გაწევას ხშირად ვერ ახერხებენ ფსიქოლოგიური მიზეზების გამო (რასაც პასიური ფორმით გამოხატავენ ან გაუპატიურებისგან დისასოცირებას ცდილობენ) ან შემდგომი ძალადობის შიშით. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოების ვალდებულების შესახებ, ნებისმიერ თანხმობის გარეშე განხორციელებულ სექსუალურ აქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყონ, მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური

წინააღმდეგობის მიუხედავად და მოცემულ საქმეზე დაადგინა, რომ გამოძიება არასაკმარისი იყო, ასევე ბულგარეთის კანონმდებლობა - არაეფექტური.

### საქმე *Maslova and Nalbandov v. Russia*

24 იანვარი, 2008 წელი

განმცხადებელი, რომელიც ადგილობრივ პოლიციის განყოფილებაში დასაკითხად იყო გამოძახებული, პოლიციის თანამშრომლებმა აიძულეს, მკვლელობის საქმეში მონაწილეობა ელიარებინა. ერთმა პოლიციელმა მას ხელბორკილები დაადო, სცემა, გააუპატიურა და შემდეგ ორალური სექსი აიძულა. მოგვიანებით მან და მეორე პოლიციელმა მუცელში არაერთხელ ჩაარტყეს, სახეზე აირწინაღი გაუკეთეს, ჰაერს უკეტავდნენ, რომ გაგუდულიყო, და საყურეებზე მიმაგრებული სადენებით დენი გაუტარეს. როდესაც ტუალეტში გასვლის უფლება მისცეს, მან მაჯებზე ვენების გადაჭრა სცადა. პროკურატურის სამმა თანამშრომელმა, მისი პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის შემდეგ, ალკოჰოლი დალიეს და მისი გაუპატიურება გააგრძელეს. განმცხადებელმა გაუპატიურების და წამების ფაქტზე საჩივარი შეიტანა. განყოფილებაში ნაპოვნი გამოყენებული პრეზერვატივის მის ვაგინალურ უჯრედებზე აღმოჩენილ კვალთან მსგავსების ალბათობა 99.99%-ით დადასტურდა. ერთჯერად ხელსახოცებზე, სხვადასხვა ჩასაცმელზე და განმცხადებლის ვაგინალურ ქსოვილებზე აღმოჩენილი სპერმის კვალი ერთიდაიგივე ანტიგენური ჯგუფის იყო. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგროვებული მტკიცებულებები დაუმჯობესელი იყო, რადგან პროკურატურის თანამშრომლების წინააღმდეგ სამართალწარმოების დასაწყებად სპეციალური პროცედურა დაცული არ ყოფილა. საბოლოოდ, საქმე დანაშაულის მტკიცებულებების არარსებობის გამო შეწყდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა დამაჯერებელი და ცალსახა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც განმცხადებლის მოვლენათა ვერსიას დაადასტურებდა. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ დაკავებულის გაუპატიურება სახელმწიფო მოხელის მიერ არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და შეუთავსებად ფორმად უნდა განიხილებოდეს, რადგან მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა და სუსტი წინააღმდეგობის გაწევის უნარი სამართალდამრღვევს დანაშაულის ჩადენას უმარტივებს.

ფიზიკური ძალადობა, განსაკუთრებით, არაერთგზის გაუპატიურების სასტიკი ქმედებები, რაც განმცხადებლის მიმართ განხორციელდა, წამების ტოლფასი იყო, რამაც კონვენციის მე-3 მუხლის (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) **დარღვევა გამოიწვია**. ასევე, **დაირღვა** კონვენციის მე-3 მუხლი პროცესუალურ ნაწილში, არაეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

### საქმე *P.M. v. Bulgaria (no. 49669/07)*

24 იანვარი, 2012 წელი

აღნიშნული საქმე ეხება განმცხადებელს, რომელიც ჩიოდა, რომ ის ცამეტი წლის ასაკში გააუპატიურეს და ბულგარეთის ხელისუფლებას თხუთმეტ წელზე მეტი დრო დასჭირდა გამოძიების დასრულებისთვის, ხოლო განმცხადებელს, ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობის საპასუხოდ, მოძალადეების წინააღმდეგ დევნის დასაწყებად არავითარი ბერკეტი არ გააჩნდა.

ვინაიდან დადგინდა, რომ განმცხადებლის საჩივარზე გაუპატიურების შესახებ არაეფექტური გამოძიება ჩატარდა, მიუხედავად იმისა, რომ საქმის გარემოებები და დამნაშავეთა ვინაობა დადგენილი იყო, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროცესუალურ ნაწილში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 დარღვევას (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა).

### საქმე *I.G. v. the Republic of Moldova (no. 53519/07)*

15 მაისი, 2012 წელი

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის თოთხმეტი წლის ასაკში ნაცნობმა (ოცდასამი წლის მამაკაცმა, რომელიც განმცხადებლის ბებიის მეზობლად ცხოვრობდა, ვისაც ხშირად სტუმრობდა) გააუპატიურა. ის ჩიოდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა მისი ბრალდებები ეფექტურად არ გამოიძიეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის საქმის გამოძიება არ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებს, გამოძიების ეფექტურად ჩატარების და გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის დასჯის შესახებ, რის გამოც კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) **დაირღვა**.

### საქმე *M. and Others v. Italy and Bulgaria (no. 40020/03)*

31 ივლისი, 2012 წელი

განმცხადებლები, ბოშური წარმოშობის ბულგარეთის მოქალაქეები, აცხადებდნენ, რომ სამუშაოს საძიებლად იტალიაში ჩასვლის შემდეგ, მათი ქალიშვილი კერძო პირებმა იარაღის მუქარით დააკავეს, მას აიძულებდნენ ემუშავა და მოეპარა, ხოლო ბოშათა ოჯახმა მის მიმართ სექსუალური ძალადობა განახორციელა. მათ განაცხადეს, რომ იტალიის ხელისუფლებამ მოვლენების სათანადოდ გამოძიება ვერ შეძლო.

სასამართლომ განმცხადებლების **საჩივარი მე-4 მუხლის შესაბამისად** (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) **დაუშვებლად ცნო**, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. დადგინდა, რომ არ ყოფილა მტკიცებულება, რომელიც ადამიანებით ვაჭრობას დაადასტურებდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ იტალიის ხელისუფლებამ განმცხადებლების საჩივრები ეფექტურად არ გამოიძია, რომ მათი ქალიშვილი, რომელიც იმ დროისათვის არასრულწლოვანი იყო, არაერთხელ სცემეს და გააუპატიურეს ვილაში, სადაც ის რჩებოდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის **მე-3 მუხლი** (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) პროცესუალურ ნაწილში **დაირღვა**. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლების მიერ პირველი განმცხადებლის გათავისუფლებისთვის განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, **მე-3 მუხლი არ დარღვეულა**.

#### საქმე *P. and S. v. Poland* (no. 57375/08)

30 ოქტომბერი, 2012 წელი

განმცხადებლები ქალიშვილი და დედა იყვნენ. 2008 წელს, პირველი განმცხადებელი, თოთხმეტი წლის ასაკში გაუპატიურების შემდეგ, დაორსულდა. განმცხადებლები ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის შესახებ ჩიოდნენ, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, პირველი განმცხადებლის აბორტზე დროულ და შეუფერხებელ წვდომას, ასევე ამ შემთხვევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებისგან დაცვას უზრუნველყოფდა. ისინი ასევე ჩიოდნენ, რომ პირველი განმცხადებლის გადაყვანა დედის დაკავების ადგილიდან და ჯერ არასრულწლოვანთა თავშესაფარში, შემდეგ საავადმყოფოში მოთავსება უკანონო იყო, და ამტკიცებდნენ, რომ საქმის გარემოებები არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ტოლფასი იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის **მე-8 მუხლი** (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) **დაირღვა**, როგორც კანონიერი აბორტის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ორივე განმცხადებლის მიმართ, ასევე განმცხადებლების პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ნაწილში. ასევე, დადგინდა კონვენციის **მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის** (თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება) **დარღვევა**, კონკრეტულად, იმის დასადგენად, პირველი განმცხადებლის არასრულწლოვანთა თავშესაფარში მოთავსების არსებით მიზანს წარმოადგენდა თუ არა მისი მშობლებისგან დამორება (განცალკევება) და აბორტის პრევენცია. პირველ განმცხადებელს ხელისუფლება ძალიან შეუფერხებელი ფორმით მოექცა და მისი ტანჯვის ხარისხი, კონვენციის **მე-3 მუხლის** შესაბამისად (არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) სისასტიკის მინიმალურ ზღვარს გაუტოლდა, რითიც **დაირღვა** აღნიშნული მუხლი.

#### საქმე *O’Keeffe v. Ireland*

28 იანვარი, 2014 წელი (დიდი პალატა)

აღნიშნული საქმე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს ეხებოდა, რაც 1973 წელს, ირლანდიის ნაციონალური სკოლის მასწავლებლის მიერ 9 წლის სკოლის მოსწავლის მიმართ განხორციელდა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ირლანდიის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებითი განათლების სისტემის ისე ჩამოყალიბება, რომ ის ძალადობისგან დაეცვა, ასევე მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევა გამოეძიებინა ან შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები გაეტარებინა. მან ასევე განაცხადა, რომ ვერ მიაღწია სახელმწიფოს მიერ დაცვის უზრუნველყოფის აღიარებას და კომპენსაციის მიღებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ **დაირღვა** კონვენციის **მე-3 მუხლი** (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და **მე-13 მუხლი** (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე), რადგან ირლანდიის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის სექსუალური ძალადობისგან დაცვა და ეროვნულ დონეზე დაუცველობის აღიარება. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ განმცხადებლის სკოლაში სექსუალური ძალადობის შესახებ საჩივრების გამოძიებასთან დაკავშირებით კონვენციის **მე-3 მუხლი არ დარღვეულა**.

#### საქმე *W. v. Slovenia* (no. 24125/06)

23 იანვარი, 2014 წელი

აღნიშნული საქმე სისხლის სამართალწარმოებას ეხებოდა მამაკაცების ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებმაც 1990 წლის აპრილში გააუპატიურეს განმცხადებელი, როდესაც ის 18 წლის იყო. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე სისხლის სამართალწარმოებით სახელმწიფომ დაარღვია მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი

ქმედებების ეფექტურად გამოძიების ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე მან კომპენსაცია მიიღო სტრესისთვის, რაც ხანგრძლივი სამართალწარმოების შედეგად მიადგა, განმცხადებელი მისთვის გადახდილ 5,000 ევროს საკმარის ანაზღაურებად არ მიიჩნევდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) პროცესუალურ დარღვევას და დაადგინა, რომ სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის გაუპატიურების საქმეზე არ აკმაყოფილებდა მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ მოთხოვნებს.

#### საქმე M.A. v. Slovenia (no. 3400/07) და საქმე N.D. v. Slovenia (no. 16605/09)

15 იანვარი, 2015 წელი

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ სლოვენია ვერ უზრუნველყო სისხლის სამართლის დევნის და სასამართლო პროცესის ეფექტურად ჩატარება იმ მამაკაცის წინააღმდეგ, ვისაც გაუპატიურებაში დასდეს ბრალი; პირველ საქმეზე სისხლის სამართლის საქმის განხილვა თითქმის 26 წელი გაგრძელდა და მეორე საქმეზე - 9 წელი.

ორივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის პროცესუალურ დარღვევას (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ჰქონდა ადგილი, რადგან განმცხადებლების გაუპატიურების საქმეზე სისხლის სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ მოთხოვნებს.

#### საქმე S.Z. v. Bulgaria (no. 29263/12)

3 მარტი, 2015 წელი

განმცხადებელი ჩიოდა, უშუალოდ, მის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თავდასხმის, გაუპატიურების და ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებზე სისხლის სამართალწარმოების არაეფექტურად ჩატარების შესახებ. კერძოდ, ის ჩიოდა ორი პოლიციელის შესაძლო ჩარევის გამოუძიებლობის და ორი თავდამსხმელის მიმართ არასათანადო სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, ასევე საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის გაჭიანურებული ვადების გამო. მან ასევე განაცხადა, რომ სისხლის

სამართალწარმოების გაჭიანურებული ვადები ზარალის შესახებ მის სარჩელს ეხებოდა, რამაც გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფა გამოიწვია. განმცხადებლის თქმით, მისი საქმე არსებული პრობლემების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, რომელიც ბულგარეთში სისხლის სამართალწარმოების არაეფექტურობაზე მიუთითებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დაირღვა განმცხადებლის უკანონო დაკავებისა და გაუპატიურების საქმის გამოძიების ხარვეზების შედეგად, კერძოდ, სისხლის სამართალწარმოების გაჭიანურების და დანაშაულების ცალკეული ასპექტების გამოუძიებლობის გამო. სასამართლოს აზრით, განსაკუთრებულ შემფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ ხელისუფლებამ საჭიროდ არ ჩათვალა გამოეკვლია განმცხადებლის ბრალდებები ქალებით ტრეფიკინგის ორგანიზებულ დანაშაულებრივი ქსელის აღნიშნულ საქმეში შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბულგარეთის წინააღმდეგ მიღებული 45-ზე მეტი გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ ხელისუფლების ორგანებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება ეფექტური გამოძიების ჩატარების შესახებ. ვინაიდან პერიოდულმა ხარვეზებმა სისტემური პრობლემის არსებობა გამოავლინა, სასამართლომ, კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) შესაბამისად, ჩათვალა, რომ ბულგარეთმა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან თანამშრომლობით, უნდა გადაწყვიტოს, რომელი ზოგადი პრაქტიკული ღონისძიებებია აუცილებელი მომავალში კონვენციის მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

#### საქმე I.P. v. the Republic of Moldova (no. 33708/12)

28 აპრილი, 2015 წელი

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის გააუპატიურა მამაკაცმა, რომელსაც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ხვდებოდა. მან განაცხადა, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი გაუპატიურების შესახებ საჩივრის ეფექტიანი გამოძიება, ხოლო მას ხელი არ მიუწვდებოდა სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე, გაუპატიურების შესახებ მისი მტკიცებების საპასუხოდ ან არასათანადო გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) პროცესუალურ დარღვევას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან განმცხადებლის საქმის გამოძიება არ შეესაბამება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება და გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა დასჯადი გახადოს. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის (უფლება სამართლებრივი დაცვის



ეფექტურ საშუალებაზე) დარღვევა მე-3 მუხლით კავშირში, რამდენადაც განმცხადებლის საჩივარი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობას ეხებოდა.

### საქმე *Y. v. Slovenia* (no. 41107/10)

28 მაისი, 2015 წელი

აღნიშნული საქმე ახალგაზრდა ქალის საჩივარს ეხება, ოჯახის მეგობრის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, რომელსაც მან არაერთგზის ჩადენილ სექსუალურ დანაშაულში დასდო ბრალი, როდესაც ის არასრულწლოვანი იყო. მისი მტკიცებით, საქმისწარმოება მეტისმეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი ტრავმირება გამოიწვია. განმცხადებელმა მიუთითა, რომ გამოძიება მის მიმართ სექსუალური დანაშაულის ბრალდებაზე და შემდგომი სასამართლო წარმოება შეუსაბამოდ გაჭიანურდა, კერძოდ, საჩივრის წარდგენიდან პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, შვიდი წელი გრძელდებოდა. ის ასევე სისხლის სამართალწარმოების პროცესში მისი პიროვნული ხელშეუხებლობის დარღვევებზე ჩიოდა, კერძოდ, ის ტრავმირებული იყო საქმის სასამართლო მოსმენის დროს ბრალდებულის მიერ ჯვარედინი დაკითხვის შედეგად.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს პროცესუალური ვალდებულებების დარღვევას კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) შესაბამისად, კერძოდ, დაადგინა, რომ ვინაიდან შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, იქონია თუ არა სამართალწარმოების შედეგებზე უარყოფითი გავლენა იმ ფაქტმა, რომ განმცხადებლის მიერ საჩივრის წარდგენიდან პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შვიდ წელზე მეტი დრო დასჭირდა, პროცესის ასეთი გაჭიანურება სწრაფი სამართალწარმოების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), იმის გათვალისწინებით, რომ სლოვენის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობის დაცვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების და სასამართლო პროცესის დროს. კერძოდ, სასამართლო პროცესზე ჯვარედინი დაკითხვის დროს სავარაუდო თავდამსხმელის მხრიდან შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი შენიშვნების გაკეთებისთვის უნდა შეეშალათ ხელი. ხელისუფლების მტკიცებით, რიგი ღონისძიებები გატარდა განმცხადებლის შემდგომი ტრავმირების თავიდან ასაცილებლად. საკითხის სენსიტიურობის და განმცხადებლის მცირე ასაკის მიუხედავად, როდესაც მის წინააღმდეგ სავარაუდო სექსუალური დანაშაული განხორციელდა, განსაკუთრებით მგრძობიარე (ფრთხილი) მიდგომა იქნება საჭირო. რაც შეეხება ბრალდებულის მიერ ჯვარედინი დაკითხვის ხასიათს, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა დაცვის მხარეს გარკვეული თავისუფლება უნდა მიეცეს განმცხადებლის საჩივრის შედავებისთვის, მაგრამ ჯვარედინი დაკითხვა არ შეიძლება მოწმეების დაშინების ან დამცირებისთვის იყოს გამოყენებული.

### საქმე *B. V. v. Belgium* (no. 61030/08)

2 მაისი, 2017 წელი

განმცხადებელი ჩიოდა, რომ სრული და ყოვლისმომცველი გამოძიება არ ჩატარდა და მან ვერ მიიღო ეფექტიანი მისაგებელი გაუპატიურების და სამსახურის კოლეგის მხრიდან გარყვნილ ქმედებაზე საჩივრების წარსადგენად.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) პროცესუალურ დარღვევას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, დაადგინდა, რომ განმცხადებლის ბრალდებები სადავო იყო და შესაბამისად, ისინი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საჩივრები კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობის დარღვევის შესახებ. ამიტომ, სახელმწიფოს მიერ ეფექტური გამოძიების ვალდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლებას, საჩივრის შეტანისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა გამოეყენებინა ყველა არსებული შესაძლებლობა ფაქტების დასადგენად, და რომლებიც გაუპატიურების და გარყვნილი ქმედების შესაძლო შემთხვევებს ეხებოდა. გამოძიება, ასეთ ვითარებაში, სერიოზულად და საფუძვლიანად ვერ ჩაითვლება.

## არასათანადო მოპყრობის რისკი ქვეყნიდან გაძევების შემთხვევაში

### ქალის გენიტალიების დასახიჩრება (ქალების წინადაცვეთა)

#### საქმე *Collins and Akaziebie v. Sweden*

8 მარტი, 2007 წელი (გადაწყვეტილება საქმის მისადგომის შესახებ)

განმცხადებლები, ნიგერიის მოქალაქეები, დედა და ქალიშვილი არიან. ისინი აცხადებდნენ, რომ ნიგერიაში დაბრუნების შემთხვევაში, მათ მიმართ ქალის გენიტალიების დასახიჩრება

განხორციელდებოდა, რაც კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას გამოიწვევდა. შვედეთის მიგრაციის საბჭომ განმცხადებლებს თავშესაფრის, დევნილის სტატუსის ან ბინადრობის უფლების მინიჭებაზე უარი უთხრა და დაადგინა, *inter alia*, რომ ქალის გენიტალიების დამახინჯება (ქალების წინადაცვეთა) ნიგერიაში კანონით იყო აკრძალული და ეს აკრძალვა ექვს ნიგერიულ სახელმწიფოში იყო დადგენილი. ამიტომ, თუ განმცხადებლები ამ სახელმწიფოებიდან ერთ-ერთში დაბრუნდებოდნენ, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ისინი ქალის წინადაცვეთაზე ეიძულებინათ. განმცხადებლებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ წარუმატებლად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კანონის აკრძალვის მიუხედავად, ქალების წინადაცვეთის პრაქტიკა კვლავ შენარჩუნებული იყო და ამ დარღვევაზე სისხლის სამართლებრივი დევნა ან დასჯა არასდროს მომხდარა.

სასამართლომ საჩივარი **დაუშვებლად ცნო**, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი და დაადგინა, რომ განმცხადებლებმა ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ნიგერიაში დაბრუნების შემთხვევაში ისინი ქალის გენიტალიების დასახიჩრების რეალური და კონკრეტული რისკის

წინაშე აღმოჩნდებოდნენ. სადავო არ გამხდარა ის ფაქტი, რომ ქალების გენიტალიების დასახიჩრება არასათანადო მოპყრობას წარმოადგენს, რაც კონვენციის მე-3 მუხლს ეწინააღმდეგება (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). ასევე, სადავო არ ყოფილა ის, რომ ნიგერიაში ტრადიციულად ქალების წინადაცვეთა ხდება და გარკვეულწილად, ეს პრაქტიკა ისევ არსებობს. ნიგერიაში რამდენიმე სახელმწიფომ კანონით აკრძალა ქალების გენიტალიების დასახიჩრება, მათ შორის, სახელმწიფომ, რომლის მოქალაქეებიც განმცხადებლები იყვნენ. გარდა ამისა, პირველმა განმცხადებელმა, ორსულობის პერიოდში, ნიგერიის სხვა სახელმწიფოში ან მეზობელ ქვეყანაში წავიდა, სადაც შესაძლოა დახმარებოდნენ და საკუთარი ოჯახისგან მხარდაჭერა მიეღო. ამის მაგივრად, მან შვედეთში გასამგზავრებლად საჭირო პრაქტიკული და ფინანსური საშუალებები მოაგროვა, რითიც სერიოზული სიძლიერე და დამოუკიდებლობა აჩვენა. ამის გათვალისწინებით, რთულია იმის გაგება, რატომ არ შეეძლო საკუთარი ქალიშვილის წინადაცვეთისგან დაცვა, თავის სამშობლოში თუ ვერ, მაშინ ნიგერიის ერთ-ერთ რომელიმე სახელმწიფოში, სადაც ქალის გენიტალიების დასახიჩრება კანონით არის აკრძალული და/ან ნაკლებად გავრცელებულია.

### **საქმე *Izevbekhai v. Ireland***

17 მაისი, 2011 წელი (გადაწყვეტილება საქმის მისაღებობის შესახებ)

განმცხადებელი და მისი ორი ქალიშვილი აცხადებდნენ, რომ თუ ოჯახი ნიგერიაში დაბრუნდებოდა, გოგონები გენიტალიების დასახიჩრების რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ, რითიც დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). ისინი ამტკიცებდნენ, რომ უფროსი ქალიშვილი ერთი წლის ასაკში, პროფუზიური სისხლდენით გარდაიცვალა, „უხუცესის“ მიერ წინადაცვეთის ჩატარების შემდეგ. ოჯახმა ნიგერია დატოვა და ირლანდიაში გაემგზავრა მამის ოჯახის მხრიდან ზეწოლის გამო, ორი უმცროსი ასაკის გოგონასთვის წინადაცვეთა გაეკეთებინათ. მათი განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საჩივარი **დაუშვებლად ცნო**, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. კერძოდ, დაადგინდა, რომ უფროსი ქალიშვილის დაბადებასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვები არსებობდა. ოჯახი ნიგერიაში ფინანსურად და სოციალურად პრივილეგირებული იყო. პირველი განმცხადებელი განათლებული ადამიანი იყო და მისი მეუღლე და მშობლები წინადაცვეთის წინააღმდეგეები იყვნენ. მას და მის მეუღლეს არ უცდიათ, ამ საკითხზე პოლიციისთვის ეცნობებინათ, დახმარებისთვის მიემართათ ან საცხოვრებლად ჩრდილოეთ ნიგერიაში წასულიყვნენ, სადაც ქალის გენიტალიების დასახიჩრების შემთხვევები მნიშვნელოვნად დაბალი ან იშვიათია. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს და მის მეუღლეს, ნიგერიაში დაბრუნების შემთხვევაში, თავიანთი ქალიშვილების წინადაცვეთისგან დაცვა შეეძლო.

### **საქმე *Omeredo v. Austria***

20 სექტემბერი, 2011 წელი (გადაწყვეტილება საქმის მისაღებობის შესახებ)

განმცხადებელი, 1973 წელს დაბადებული ქალი, ნიგერიიდან 2003 წელს გაიქცა, ქალის გენიტალიების დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით. მისი და წინადაცვეთის შედეგად გარდაიცვალა და მისი მტკიცებით, არსებობდა რისკი, რომ უარის შემთხვევაში, მას თანასოფლელები მოკლავდნენ, და დედამ უთხრა, რომ უნდა ეთანამშრომლა. მისი მოთხოვნა თავშესაფარზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმე **დაუშვებლად ცნო**, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. სადავო არ გამხდარა იქ ფაქტი, რომ ნებისმიერი ადამიანის, ბავშვის ან ზრდასრული ადამიანის წინადაცვეთა კონვენციის მე-3 მუხლით (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) გათვალისწინებული არასათანადო მოპყრობის ტოლფასია. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა

ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებლის შიში ნიგერიაში ქალის გენიტალიების დამახინჯების თაობაზე საფუძვლიანი იყო, მათ მიიჩნიეს, რომ განმცხადებელმა აღნიშნულისგან თავის დაღწევის ალტერნატიულ გზად ქვეყნის შიგნით გადაფრენა აირჩია. შესაბამისად, სასამართლოს განმცხადებლის პირადი მდგომარეობა უნდა შეეფასებინა ნიგერიაში. დადგინდა, რომ მისი განათლების და მკერავად მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ნიგერიაში მას საცხოვრებელი პირობების შექმნა საკუთარი ოჯახის მხარდაჭერის გარეშე შეეძლო.

### საქმე *Sow v. Belgium*

19 იანვარი, 2016 წელი

განმცხადებელი ჩიოდა, რომ ის ექსციზიის შემდგომი პროცედურის რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა, თუ მას გვინეაში გადაიყვანდნენ, რომლის მოქალაქე იყო და საჩივართან დაკავშირებით მას სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) არ დაირღვეოდა, თუ განმცხადებელს მისი წარმოშობის ქვეყანაში დააბრუნებდნენ, ვინაიდან განმცხადებელმა ვერ შეძლო მის მიმართ ექსციზიის შემდგომი პროცედურის რეალური რისკის დასაბუთება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის მე-13 მუხლი (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებაზე) მე-3 მუხლთან მიმართებაში არ დარღვეულა.

### საქმე *Bangura v. Belgium*

14 ივნისი, 2016 წელი (გადაწყვეტილება განცხადების ამორიცხვის შესახებ)

მოცემულ საქმეზე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის ქალის გენიტალიების დაზიანების რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა, თუ მას მისი წარმოშობის ქვეყანაში, სიერა-ლეონეში დააბრუნებდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა 2016 წლის იანვარში ბინადრობის ნებართვა მიიღო, რომლითაც ოჯახის წევრთან, კერძოდ, მეუღლესთან გაერთიანებას მოითხოვდა და შესაბამისად, იმ დროისათვის არ არსებობდა რაიმე საშიშროება, რომ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მას სიერა-ლეონეში დააბრუნებდნენ, სასამართლომ, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად (განაცხადის ამორიცხვა), მიიჩნია, რომ განცხადების შემდგომი განხილვა მართლზომიერი არ არის და განაცხადის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

„ღირსების დანაშაული“ და ოჯახის მხრიდან არასათანადო მოპყრობა

### საქმე *A.A. and Others v. Sweden (no. 14499/09)*

28 ივნისი, 2012 წელი

მოცემული საქმე შვედეთში მცხოვრებ, დეპორტაციის ბრძანების აღსრულების მოლოდინში მყოფ, იემენის მოქალაქეებს ეხება (დედა და 5 შვილი). ისინი ამტკიცებდნენ, რომ იემენში დეპორტაციის შემთხვევაში ისინი „ღირსების დანაშაულის“ რეალური მსხვერპლები გახდებოდნენ, რადგან ისინი არ დაემორჩილნენ მეუღლეს/მამას და ქვეყანა მისი ნებართვის გარეშე დატოვეს. შვედეთის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ განმცხადებლის ოჯახის პრობლემები, უფრო მეტად, პირად სფეროს ეხებოდა და ფინანსურ საკითხებს უკავშირდებოდა, ვიდრე ღირსებას და პატივისცემას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე განმცხადებლებმა ვერ დაასაბუთეს ვარაუდი, რომ იემენში დეპორტაციის შემთხვევაში ისინი მკვლელობის ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რეალური რისკის წინაშე აღმოჩნდებოდნენ, და შესაბამისად, დაადგინა, რომ დეპორტაციის ბრძანების აღსრულება კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) ან მე-3 მუხლების (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას არ გამოიწვევდა.

### საქმე *R.D. v. France (no. 34648/14)*

16 ივნისი, 2016 წელი

მოცემული საქმე განმცხადებლის გვინეაში, მისი წარმოშობის ქვეყანაში დეპორტაციის პროცედურას ეხება. ქრისტიანზე დაქორწინების გამო, მან თავისი მუსულმანი მამის და ძმების მხრიდან ყველანაირი სახის ძალადობრივი რეპრესიები აიტანა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ გვინეაში მისი დეპორტაციის შემთხვევაში ის დაექვემდებარებოდა მოპყრობას, რაც კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას გამოიწვევს.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის გვინეაში დეპორტაციით კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დაირღვევა.

ტრეფიკინგის და განმეორებითი ტრეფიკინგის რისკი

### საქმე *L.R. v. the United Kingdom* (no. 49113/09)

14 ივნისი, 2011 წელი (გადაწყვეტილება განცხადების ამორიცხვის შესახებ)

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ალბანელმა მამაკაცმა ის ტრეფიკინგის მიზნით იტალიიდან დიდ ბრიტანეთში წაიყვანა, სადაც ღამის კლუბში მუშაობას აიძულა და მიღებულ ფულს სრულად ართმევდა. ის გაიქცა და ფარულ თავშესაფარში დაიწყო ცხოვრება. მან განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთიდან ალბანეთში დაბრუნების შემთხვევაში არსებობდა რისკი, რომ ის დაექვემდებარებოდა მოპყრობას, რაც კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-4 (მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა) და მე-8 მუხლების (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევას გამოიწვევდა.

სასამართლომ გადაწყვიტა განაცხადის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა, კონვენციის 37-ე მუხლის (განაცხადის ამორიცხვა) შესაბამისად, რადგან მიიჩნია, რომ განმცხადებელს და მის ქალიშვილს დიდ ბრიტანეთში ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ და მათი ალბანეთში დაბრუნების რისკი აღარ არსებობდა. მთავრობამ ასევე აიღო ვალდებულება განმცხადებლის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

### საქმე *V.F. v. France* (no. 7196/10)

29 ნოემბერი, 2011 წელი (გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ)

აღნიშნული საქმე განმცხადებლის ნიგერიაში, მისი წარმოშობის ქვეყანაში დეპორტაციას ეხება. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ნიგერიაში გაძევების შემთხვევაში ის კვლავ პროსტიტუციის ქსელში ჩართვის რისკის წინაშე აღმოჩნდებოდა, საიდანაც ის გაიქცა და მათი მხრიდან რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა, ხოლო ნიგერიის ხელისუფლება ვერ შეძლებდა მის დაცვას. მისი აზრით, საფრანგეთის ხელისუფლება ვალდებული იყო, ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლები ქვეყნიდან არ გაეძევიან.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. მიუხედავად იმისა, რომ ნიგერიელი ქალების საფრანგეთში ტრეფიკინგის მასშტაბების და სახელისუფლებო ორგანოებისთვის დაცვის მოთხოვნის მიმართვასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ კარგად იყო ცნობილი, სასამართლომ მაინც ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არასაკმარისი იყო იმის დასამტკიცებლად, რომ პოლიციამ, მისი დეპორტაციის შესახებ ბრძანების გამოცემისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ განმცხადებელი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქსელის მსხვერპლი იყო. რაც შეეხება რისკს, რომ განმცხადებელს ნიგერიაში პროსტიტუციის ქსელში კვლავ ჩაბმას აიძულებდნენ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ნიგერიის კანონმდებლობა პროსტიტუციის აკრძალვის და ასეთ ქსელებთან ბრძოლის მიზანს სრულად ვერ აკმაყოფილებს, მნიშვნელოვანი პროგრესი მაინც გაკეთდა და განმცხადებელი, სავარაუდოდ, დაბრუნების შემთხვევაში, ხელისუფლებისგან დახმარებას მიიღებდა.

*იხილეთ, ასევე: საქმე *Idemugia v. France*, 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ.*

### საქმე *F.A. v. the United Kingdom* (no. 20658/11)

10 სექტემბერი, 2013 წელი (გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ)

განმცხადებელი, განის მოქალაქე, აცხადებდა, რომ ის დიდი ბრიტანეთიდან წამოსვლის შემდეგ ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა და მას პროსტიტუციაში ჩაბმას აიძულებდნენ. კერძოდ, ის ჩიოდა, რომ განაში დაბრუნებით მას ყოფილ ტრეფიკერებთან ან ახალი ტრეფიკერების ხელში ჩაგდების საფრთხე შეექმნებოდა. მან ასევე განაცხადა, რომ ვინაიდან დიდ ბრიტანეთში, ტრეფიკინგის და სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად, ის შიდსით დაინფიცირდა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ჰქონდა, რომ მისთვის ინგლისში დარჩენის ნებართვა მიეცა, საჭირო სამედიცინო დახმარების მისაღებად.

სასამართლომ განმცხადებლის საჩივრები დაუშვებლად ცნო კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-4 მუხლების (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) შესაბამისად. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს კონვენციის შესახებ ყველა საჩივრის უმაღლეს ტრიბუნალში გასაჩივრება შეეძლო. ვინაიდან განმცხადებელს უმაღლეს ტრიბუნალში გასაჩივრების მოთხოვნით არ მიუმართავს, მან ვერ შეასრულა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (დასაშვებობის კრიტერიუმები) მოთხოვნები.

### საქმე *O.G.O. v. the United Kingdom* (no. 13950/12)

18 თებერვალი, 2014 წელი (გადაწყვეტილება განცხადების ამორიცხვის შესახებ)

განმცხადებელი, ნიგერიის მოქალაქე, რომელიც, მისი თქმით, ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო, ჩიოდა, რომ ნიგერიაში გაძევების შემთხვევაში ის განმეორებით ტრეფიკინგის რეალური რისკის

წინაშე აღმოჩნდებოდა. სასამართლომ, კონვენციის 37-ე მუხლის (განაცხადის ამორიცხვა) შესაბამისად, განაცხადის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და აღნიშნა, რომ განმცხადებელს ქვეყნიდან გაძევების საფრთხე აღარ ემუქრებოდა, რადგან მას ლტოლვილის სტატუსი მიანიჭეს და განუსაზღვრელი დროით შეეძლო დიდ ბრიტანეთში დარჩენა. გარდა ამისა, გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ მას ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა.

## სოციალური გარიყულობა

### საქმე *N. v. Sweden* (no. 23505/09)

20 ივლისი, 2010 წელი

განმცხადებელი, ავღანეთის მოქალაქე, რომელიც შვედეთში მცხოვრებ მამაკაცთან ქორწინების გარეშე ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამტკიცებდა, რომ ავღანეთში დაბრუნების შემთხვევაში მას სოციალური გარიყულობის, ხანგრძლივი დროით პატიმრობის ან სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა. მისი მოთხოვნა თავშესაფარზე არ იქნა დაკმაყოფილებული.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ავღანეთში დეპორტაცია კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) დარღვევას გამოიწვევს. მან აღნიშნა, რომ ქალები ავღანეთში, განსაკუთრებით, არასათანადო მოპყრობის რისკის წინაშე არიან, თუ ისინი საზოგადოებაში, ტრადიციებით და თუნდაც სამართლებრივი სისტემით დადგენილ ქალის როლს არ შეესაბამებიან. მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებელი შვედეთში ცხოვრობდა, შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც მისაღები ქვევისათვის დადგენილ ზღვარს გადასვლა. იმ ფაქტს, რომ მას მეუღლესთან განქორწინება უნდოდა და მასთან ერთად ცხოვრება აღარ სურდა, შესაძლოა სიცოცხლისთვის საშიში შედეგები მოყვას. 2009 წლის აპრილის შიიტური კანონით პერსონალური სტატუსის შესახებ ქალებს თავიანთი ქმრების სექსუალური მოთხოვნების დამორჩილება ევალებათ და არ შეუძლიათ მათი ნებართვის გარეშე სახლის დატოვება. ანგარიშებმა აჩვენა, რომ ავღანელი ქალების დაახლოებით 80% მიმართ ოჯახში ძალადობა განხორციელდა, და ასეთი ქმედებები ხელისუფლების მიერ კანონიერად მიიჩნევა და ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დევნა არ ხორციელდება. ქალები თანმხლების გარეშე, ან ქალები მამაკაცი „მეურვის“ გარეშე, მუდმივად მკაცრ შეზღუდვებს განიცდიან პირად ან პროფესიულ ცხოვრებასთან დაკავშირებით, და სოციალური გარიყულობისთვის არიან განწირულები. ცხადი იყო, რომ მათ ხშირად გადარჩენის არანაირი შანსი არ აქვთ, თუ მათ მამრობითი სქესის ნათესავი არ დაიცავს. მოცემული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს არსებითი ვარაუდის საფუძველი, რომ ავღანეთში დეპორტაციის შემთხვევაში, განმცხადებელი თავისი მეუღლის, საკუთარი ოჯახის და ავღანური საზოგადოების მხრიდან რეპრესიების სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, რაც კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება.

### საქმე *W.H. v. Sweden* (no. 49341/10)

8 აპრილი, 2015 წელი (დიდი პალატა)

აღნიშნული საქმე თავშესაფრის მამიებელს ეხება, რომელიც შვედეთიდან ერაყში გაძევების საფრთხის წინაშე იდგა, სადაც მისი განცხადებით, არასათანადო მოპყრობის საფრთხე შეექმნებოდა, რადგან ის მანდეანური აღმსარებლობის მარტოხელა ქალი, სოციალურად დაუცველი ეთნიკურ/რელიგიური უმცირესობა იყო. განმცხადებლის მტკიცებით, ვინაიდან განქორწინებული იყო და მცირე, სოციალურად დაუცველ ეთნიკურ/რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რეალური რისკის წინაშე აღმოჩნდებოდა, თუ ერაყში დააბრუნებდნენ. კერძოდ, მან განაცხადა, რომ მამაკაცების მხარდაჭერის ან ერაყში დარჩენილი რომელიმე ნათესავის გარეშე დევნის, თავდასხმის, გაუპატიურების, რელიგიის იძულებითი შეცვლის და იძულებითი ქორწინების საფრთხე ემუქრებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ბინადრობის უფლება ჰქონდა მინიჭებული მიგრაციის საბჭოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. საბჭომ დაადგინა, რომ ბაღდადში არსებული საერთო უსაფრთხოების მდგომარეობიდან გამომდინარე, ამასთან ის ფაქტი, რომ განმცხადებელი არის რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი და ერაყში რაიმე სოციალური კავშირები არ აქვს, იმას ნიშნავდა, რომ მას შვედეთში დაცვა სჭირდებოდა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში თავისი საჩივრის შემდგომ განხილვაზე უარი თქვა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხი ეროვნულ დონეზე გადაწყდა. ასევე, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე განსაკუთრებული გარემოებები ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში, როგორც განსაზღვრულია ევროპული კონვენციით და მისი ოქმებით, რაც საქმის შემდგომი განხილვის აუცილებლობას დაადგენდა. ამიტომ, სასამართლომ მართებულად მიიჩნია განაცხადი სასამართლოს საქმეთა ნუსხიდან ამოერიცხა.

### საქმე *R.H. v. Sweden (no. 4601/14)*

10 სექტემბერი, 2015 წელი

განმცხადებელი, სომალის მოქალაქე, აცხადებდა, რომ მოგადიშუმი დაბრუნების შემთხვევაში, არსებობდა საფრთხე, რომ მას ან ბიძები მოკლავდნენ, სომალიდან გაქცევამდე იძულებით ქორწინებაზე უარის გამო და მისი ნების საწინააღმდეგოდ დაქორწინებას აიძულებდნენ. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ზოგადი სიტუაცია სომალიში ქალებისთვის ძალიან რთულია, განსაკუთრებით ისეთებისთვის, როგორც თვითონაა, რომლებსაც გარშემო მამაკაცების გარემოცვა არ ჰყავდა და ამიტომ, უფრო მეტად დაუცველი იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის **დეპორტაცია** მოგადიშუმი კონვენციის **მე-3 მუხლის** (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) **დარღვევას გამოიწვევდა**. ვინაიდან სომალიში, მათ შორის, მოგადიშუმი, ქალების რთული მდგომარეობა არ შეინიშნებოდა, სასამართლომ, განმცხადებლის საქმეში წარმოდგენილი კონკრეტულ ფაქტების მაგალითზე, მე-3 მუხლით დადგენილი მოპყრობის რეალური რისკი იმ ქალაქში ვერ დაინახა. მნიშვნელოვანი შეუსაბამობები იყო განმცხადებლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებულ მტკიცებებსა და პრეტენზიებს შორის, და საფრთხეები, რაც უკან დაბრუნების შემთხვევაში დადგებოდა, მოსალოდნელი არ იყო. ასევე, არ არსებობდა რაიმე საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ის მოგადიშუმი დაბრუნდებოდა, როგორც მარტოხელა ქალი იმ რისკებთან ერთად, რაც ასეთ მდგომარეობას ახლავს თან. პირიქით, მან ოჯახის მხარდაჭერის და მამაკაცთა გარემოცვის მხრიდან დაცვის საშუალებები უნდა მოიძიოს. განმცხადებელმა ასევე ვერ დაადასტურა, რომ მან ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ბანაკში ცხოვრების მოთხოვნით მიმართა.

## ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)<sup>1</sup>

### საქმე *Rantsev v. Cyprus and Russia*

7 იანვარი, 2010 წელი

განმცხადებელი ახალგაზრდა ქალის მამა იყო, რომელიც კვიპროსში გარდაიცვალა, სადაც სამუშაოდ გაემგზავრა 2001 წლის მარტში. ის ჩიოდა, რომ კვიპროსის პოლიციამ ყველა შესაძლო ზომა არ გამოიყენა მისი ქალიშვილის ტრეფიკინგისგან დასაცავად, ვიდრე ცოცხალი იყო, და მის სიკვდილზე პასუხისმგებელი პირების დასასჯელად. ის ასევე უჩიოდა რუსეთის ხელისუფლებას, რომელმაც მისი ქალიშვილის ტრეფიკინგის და შემდგომი სიკვდილის საქმე ვერ გამოიძია, ასევე არ გადადგა ნაბიჯები მისი ტრეფიკინგის რისკისგან დასაცავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მონობის მსგავსად, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მისი ხასიათიდან და ექსპლუატაციის მიზნებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებას ეფუძნება; ის ადამიანებს განიხილავს, როგორც ფართო მოხმარების საგანს, რომელიც შეიძლება იყიდო და გაყიდო და იძულებით შრომაში ჩართო; ის გულისხმობს მსხვეპლთა საქმიანობაზე განსაკუთრებულ მეთვალყურეობას, რომელთა მოძრობა/გადაადგილება ხშირად შეზღუდულია; და მსხვერპლების წინააღმდეგ ძალადობას და მათ წინააღმდეგ მუქარას მოიცავს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ტრეფიკინგი კონვენციის მე-4 მუხლით (მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა) არის აკრძალული. ბოლოს, დაასკვნა, რომ კვიპროსმა კონვენციის **მე-4 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებები დარღვია** ორ შემთხვევაში: პირველი რიგში, ვერ უზრუნველყო საჭირო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის, რაც არტისტების ვიზის არსებული რეჟიმის შედეგად მოხდა, და მეორე, პოლიციამ განმცხადებლის ქალიშვილის ტრეფიკინგისგან დასაცავად საჭირო ოპერატიული ღონისძიებების გატარება ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარემოებები, რომლებიც მისი ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის საფუძვლიან ეჭვს ბადებდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ასევე ადგილი ჰქონდა რუსეთის მიერ კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევას, რადგან ვერ გამოიძია როგორ და სად ჩართეს განმცხადებლის ქალიშვილი ტრეფიკინგის ქსელში, და არ გადადგეს საჭირო ნაბიჯები იმ პირთა დასადგენად, რომლებმაც მსხვერპლის რეკრუტირება მოახდინეს ან რა მეთოდები იყო ამისთვის გამოყენებული.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კვიპროსმა **დაარღვია** კონვენციის **მე-2 მუხლი** (სიცოცხლი უფლება), რადგან კვიპროსის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის ქალიშვილის სიკვდილის ეფექტური გამოძიება.

### საქმე *L.E. v. Greece (no. 71545/12)*

21 იანვარი, 2016 წელი

აღნიშნული საქმე ნიგერიის მოქალაქის საჩივარს ეხება, რომელიც საბერძნეთში იძულებით ჩააბეს პროსტიტუციაში. მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი ოფიციალურად

<sup>1</sup> იხილეთ, ასევე საინფორმაციო ბროშურა თემაზე „ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“.

მიანიჭეს, ხელისუფლების ორგანოებისთვის ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხის შესახებ ინფორმირებდა ცხრა თვეზე მეტ ხანს მოუწია ლოდინი, ვიდრე სასამართლო მას ამ სტატუსს მიანიჭებდა. მან განაცხადა, რომ საბერძნეთის ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-4 მუხლით (მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა) გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობამ ამ დებულების დარღვევა გამოიწვია.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-4 (მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა) მუხლის დარღვევას. კერძოდ, დადგინდა, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და შემდგომი საგამომიებო ქმედებები მთელი რიგი ხარვეზებით ჩატარდა. ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ ასევე მიუთითა არაერთი გაჭიანურების და საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ პროცესუალური ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. მოცემულ საქმეში, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დაირღვა, ვინაიდან სამართალწარმოების ხანგრძლივობა სასამართლო ინსტანციის თითო დონისთვის გადაჭარბებული იყო და „გონივრული ვადების“ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. და ბოლოს, სასამართლომ კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) დარღვევა დაადგინა ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობის გამო, რომლის საშუალებითაც განმცხადებელი გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლების განხორციელებას შეძლებდა.

### **საქმე *J. and Others v. Austria (no. 58216/12)***

17 იანვარი, 2017 წელი

მოცემული საქმე ავსტრიის ხელისუფლების მიერ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდების გამოძიებას ეხება. განმცხადებლები, ფილიპინების ორი მოქალაქე, რომლებიც არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მოახლეობდნენ ან ოჯახში დამხმარეებად სამუშაოდ წავიდნენ, აცხადებდნენ, რომ დამსაქმებლებმა მათ პასპორტები წაართვეს და მათ ექსპლუატირებას ახდენდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მსგავსი მოპყრობა ვენაში ხანმოკლე ყოფნის დროს ხდებოდა, სადაც ისინი დამსაქმებლებმა წაიყვანეს და საიდანაც გაქცევა მოახერხეს. ავსტრიაში, დამსაქმებლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საჩივრის წარდგენის შემდეგ, ხელისუფლების ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ მათი იურისდიქცია საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებზე არ ვრცელდებოდა და ავსტრიაში მომხდარ ფაქტებზე გამოძიება შეწყვიტეს. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი იძულებით შრომას და ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) დაექვემდებარნენ, ხოლო ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეფექტური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარება. კერძოდ, მათი მტკიცებით, ის რაც მათ ავსტრიაში შეემთხვათ, ცალკე განხილული ვერ იქნება და ავსტრიის ხელისუფლებას საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მოვალეობა ჰქონდა, ასევე გამოეძიებინა საზღვარგარეთ ჩადენილი შემთხვევები.

ვინაიდან ავსტრიის ხელისუფლებამ შეასრულა თავისი მოვალეობა, დაეცვა განმცხადებლები, როგორც ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) (პოტენციური) მსხვერპლები, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-4 მუხლი (იძულებითი შრომის აკრძალვა) არ დარღვეულა, ისევე როგორც მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). განსაკუთრებით აღნიშნა, რომ კონვენციის თანახმად, არ არსებობს ვალდებულება ფილიპინებში განმცხადებლების ტრეფიკინგში რეკრუტირების გამოძიების ან არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მათი სავარაუდო ექსპლუატაციის შესახებ, რადგან სახელმწიფოებს, კონვენციის მე-4 მუხლის საფუძველზე, არ მოეთხოვებათ საზღვარგარეთ ჩადენილი ტრეფიკინგის დანაშაულებზე საყოველთაო იურისდიქციის უზრუნველყოფა. ავსტრიაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ყველა ნაბიჯი გადადგა, რაც ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო. განმცხადებლები, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია დაეხმარა, სპეციალურად მომზადებულმა პოლიციელებმა გამოკითხეს, მათ საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო ნებართვები მისცეს ავსტრიაში ცხოვრების მოსაწყობად, და მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება აიკრძალა. გარდა ამისა, გამოძიება განმცხადებლების ვენაში დარჩენის მოთხოვნასთან დაკავშირებით საფუძველიანი იყო და ხელისუფლების ორგანოს მიერ გაკეთებული შეფასება, საქმის გარემოებების და მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, სამართლიანი იყო. საქმეზე გადადგმული შემდგომი ნაბიჯებით, მაგალითად განმცხადებლების დამსაქმებლებთან დაკავშირებით, წარმატება ვერ იქნებოდა მიღწეული, რადგან არ არსებობს რაიმე შეთანხმება ავსტრიასა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, და ასევე განმცხადებლებმა პოლიციას მომხდარიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიმართეს, როდესაც მათ დამსაქმებლებს უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა ქვეყანა დატოვებული.

## მიმდინარე საქმის განხილვა

### საქმე *T.I. and Others v. Greece (no. 40311/10)*

საჩივრის შესახებ ინფორმაცია საბერძნეთის მთავრობას 2016 წლის 6 სექტემბერს გაეგზავნა

განმცხადებლები, რუსეთის სამი მოქალაქე, რომლებსაც ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი მიენიჭათ, ჩივიან, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები დაესაჯა და სისხლისსამართლებრივად გამოეძიებინა ქმედებები მათი ტრეფიკინგის საქმესთან დაკავშირებით.

სასამართლომ შეტყობინება გაუგზავნა საბერძნეთის მთავრობას და მხარეებს კითხვებით მიმართა. კონვენციის მე-4 (მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა), მე-6 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლების შესაბამისად.

## ძალადობა კერძო პირების მხრიდან

### საქმე *Sandra Janković v. Croatia*

5 მარტი, 2009 წელი

განმცხადებელი ჩიოდა, რომ მიუხედავად მისი განცხადებებისა ოთახის მეზობლების მხრიდან შესაძლო თავდასხმის და მუქარის შესახებ, ხელისუფლების ორგანოებმა მისი სათანადო დაცვა ვერ უზრუნველყვეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის **მე-8 მუხლის** (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) **დარღვევას**, ვინაიდან ხორვატიის ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ დაიცვა განმცხადებელი ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფისგან, რაც მე-8 მუხლით დადგენილ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.

### საქმე *Ebcin v. Turkey*

1 თებერვალი, 2011 წელი

განმცხადებელს, პროფესიით მასწავლებელს, სამუშაოზე მიმავალს, ქუჩაში თავს ორი პირი დაესხა, რომლებმაც სახეში მყავა შეასხეს. მან წელიწადნახევრის განმავლობაში მუშაობა ვერ შეძლო, და სამი წლის განმავლობაში მკურნალობას გადიოდა. ის ჯერ კიდევ განიცდის თავდასხმის მძიმე შედეგებს. ის ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა მისი უსაფრთხოება და თავდამსხმელები დაუყოვნებლივ დაესაჯა.

სასამართლომ დაადგინა, რომ **დაირღვა** კონვენციის **მე-3** (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და **მე-8** (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) **მუხლები** პროცესუალური კუთხით, რადგან ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების შედეგად მისი დაცვა ძალადობის მძიმე ქმედებებისგან ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

### საქმე *Irina Smirnova v. Russia*

13 ოქტომბერი, 2016 წელი

აღნიშნული საქმე, კონკრეტულად, სისტემატურ ძალადობას ეხება, რომელიც დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ განმცხადებლის მიმართ განხორციელდა, ხოლო უკრაინის ხელისუფლებამ სავარაუდოდ ვერ უზრუნველყო ძალადობის აღკვეთა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის **მე-3 მუხლის** (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) **დარღვევას**. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიმართ განმეორებით და განზრახ სიტყვიერი თავდასხმასთან ერთად, მამაკაცთა ჯგუფის მხრიდან უფროსი ასაკის ქალის მიმართ ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, რამაც მე-3 მუხლის ფარგლებში დადგენილ სიმწვავის ზღვარს მიაღწია და მოიცვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დამცავი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი დამნაშავეების მიმართ დევნა განხორციელდა და მათ ხანგძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ამ საქმის გადასაწყვეტად რუსეთის ხელისუფლებას თორმეტი წელი დასჭირდა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და სამართალწარმოების განსაკუთრებული გაჭიანურების გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

## მიმდინარე საქმის განხილვა

### საქმე *Teršana v. Albania (no. 48756/14)*

საჩივრის შესახებ ინფორმაცია ალბანეთის მთავრობას 2014 წლის 6 ოქტომბერს გაეგზავნა



2009 წლის ივლისში, განმცხადებელმა მძიმე დაზიანებები მიიღო დაუდგენელი პირის მხრიდან მჟავით თავდასხმის შედეგად. ის ჩივის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მისი სიცოცხლის დაცვა და თავდასხმის საქმეზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება.

სასამართლომ საჩივრის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა ალბანეთის ხელისუფლებას და მხარეებს კითხვები დაუსვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) და 35 მუხლებიდან (დასაშვებობის კრიტერიუმები) გამომდინარე.

## შემდგომი საკითხავი

---

იხილეთ, ასევე, ევროპის საბჭოს ვებ-გვერდი მისამართზე [\*\*“Violence against women and domestic violence”\*\*](#).

---

მედია კონტაქტი:

ტელ.: + 33 (0)3 90 21 42 08